საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/02/2025

MES 9 25 0000426005

გადაწყვეტილება

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 24 აგვისტოს №1010557 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 18 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

აკრედიტაციის საბჭომ 1.2 რეკომენდაცია (რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა შუალედური კურსები მენეჯმენტის და ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს) გადაიტანა რჩევაში, შესაბამისად 1.2 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ 1.4 კომპონენტში ამოიღო შემდეგი რეკომენდაციები:

- "რეკომენდებულია, განახლდეს პროგრამის აღწერილობა ისე, რომ კრედიტების საერთო რაოდენობამ შეადგინოს 261 კრედიტი. აღნიშნული უზრუნველყოფს თანხვედრას აღწერილობის ტექსტსა და სავალდებულო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების აღწერილობით ცხრილებს შორის."
- რეკომენდებულია, "თავისუფალი კომპონენტის" ფარგლებში შეთავაზებული ყველა კურსი იყოს წარმოდგენილი არჩევითი სახით. ამგვარი კომპონენტის იდეა გულისხმობს, რომ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანი. ამჟამად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული 119 კრედიტი უკავშირდება სავალდებულო კურსებს, რომელიც გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კომპონენტში.

შესაბამისად 1.4 კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი N1 გათვალისწინებულ „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 18 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სახელმწიფო რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2)
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 18 თებერვლის სხდომის ოქმის №210672, №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. **დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რჩევები:**

- სასურველია, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვის მიზნით გაიზარდოს "საბაკალავრო ნაშრომის" კრედიტების რაოდენობა. სამაგისტრო ნაშრომთან შედარებით ძალიან მცირეა საბაკალავრო ნაშრომისთვის ამჟამად განსაზღვრული 8 კრედიტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი სამუშაო დატვირთვის ასახვისთვის გონივრული იქნება განისაზღვროს 10 - დან 15 კრედიტამდე. კომპონენტი.
- სასურველია, აკადემიის და საბაკალავრო პროგრამის წესები შესაბამისობაში მოვიდეს გამოცდების შეფასებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვრებთან. კომპონენტი
- სასურველია, შემცირდეს ერთი და იმავე აკადემიური პირის მიერ განხორციელებული საგნობრივი სფეროების რაოდენობა. პირის სასწავლო დატვირთვა უნდა მოიცავდეს ერთი და იმავე ან მომიჯნავე სფეროებს.
- სასურველია, პროგრამა მოიცავდეს სავალდებულო კურსებს, რომლებიც ხელსუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, როგორიცაა შუალედური კურსებიმენეჯმენტის და ეკონომიკის მიმართულებით. აღნიშნული ნაბიჯი გააძლიერებს პროგრამის პროფილს.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი

№3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№145 14/11/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	261 ECTS
14	განხორციელების ადგილი	ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი/გორი/1400,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2025 წლის 18 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2032 წლის 18 თებერვალი